

უაკ

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპიული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა

ნონა თოდუა

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა

ანოტაცია

ნარკოტიკული საშუალების და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება გულისხმობს იმ ხერხების გამოყენებას, რაც გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა, მითვისება, ყაჩაღობა), ასევე გამოძალვა.

ამ ნივთიერებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ადგილი აქვს მაშინ, როცა:

- 1) ეს ნივთიერება იმყოფება კონკრეტული პირის მფლობელობაში,
- 2) მას აქვს მატერიალური ღირებულება,
- 3) მისი მისაკუთრება ხდება უსასყიდლოდ და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ,
- 4) პირს არა აქვს კანონიერი უფლებამოსილება დაეუფლოს ამ ნივთიერებას.

საქართველოს სს კოდექსის 264-ე მუხლის საგანია ზემოთჩამოთვლილი ნივთიერებები და არა უფლება ამ ნივთიერებაზე. ამიტომ ამ მუხლში არ იგულისხმება ნარკოტიკულ საშუალებაზე უფლების მომპოვებელი დოკუმენტის გამოძალვა.

საკვანძო სიტყვები: ნარკოტიკული საშუალება, პრეკურსორი, ფსიქოტროპიული ნივთიერება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ნარკოტიკულ დანაშაულებს დათმობილი აქვს ცალკე თავი, რაც განპირობებულია ამ დანაშაულთა მომეტებული საშიშროებითა და დაცვის ობიექტის თავისებურებით.

ნარკოტიკულ დანაშაულთა შორის ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა, რომლის შემადგენლობა გატაცებულია სს კოდექსის 264-ე მუხლით. ეს მუხლი სამი ნაწილისგან შედგება:

1. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპიული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა,
 - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
 - ა) დიდი ოდენობით;
 - ბ) წინასწარი შეთანხმებით;
 - გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
 - დ) არაერთგზის;

ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული;

ვ) ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით,

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

a) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;

b) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

c) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით,

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

როგორც ვხედავთ, წინამდებარე მუხლებისაგან განსხვავებით (260-261-ე და 262-263-ე მუხლები), აქ ერთ ნორმაშია თავმოყრილი ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპიული და ძლიერმოქმედი ნივთიერება. კანონმდებლობის ასეთი პოზიცია გამართლებულია იმით, რომ განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად დანაშაულის საგანს, არამედ მისი მართკლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხსა და საშუალებას.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტებია როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებისადმი მოპყრობისა და შექმნის კანონით დადგენილი წესი, ასევე საკუთრებითი ურთიერთობანი, რომელიც დაკავშირებულია ამ ნივთიერების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებასთან. დანაშაულის დამატებით ობიექტად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობა. სწორედ სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტთა ამგვარი სიმრავლე განსაზღვრავს ამ დანაშაულის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას.

ამ მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან ბ) ამავე ნივთიერების გამოძალვაში.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება გულისხმობს იმ ხერხების გამოყენებას, რაც გათვალისწინებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ე.ი. კანონმდებელმა ნარკოტიკული საშუალება და 264-ე მუხლში მითითებული სხვა ნივთიერება ამოიღო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (თავი 15) საგნების სიიდან და შექმნა სპეციალური ნორმა ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში. ამგვარი პოზიცია გამართლებულია ნარკოტიკული დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის თავისებურებით და მისი განსხვავებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ობიექტისაგან.

სსკ 264-ე მუხლში მითითებულ ნივთიერებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეიძლება განხორციელდეს: 1. ქურდობით, ე.ი. ამ ნივთიერებათა ფარული დაუფლებით; 2. ძარცვით, ე.ი. ამ ნივთიერებების აშკარა დაუფლებით, მაგრამ ისეთი ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე ასეთი ძალადობის მუქარა გათვალისწინებულია არა 264-ე მუხლის პირველ ნაწილში, არამედ მე-2 ნაწილის “ვ” პუნქტში; 3. თაღლითობით, ე.ი. ამ ნივთიერების მიღება მოტყუებით; მაგალითად, პირმა ყალბი დოკუმენტების წარდგენით აფთიაქიდან მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ნარკოტიკული საშუალება, თავი გაასალა რა ონკოლოგიური საავადმყოფოს წარმომადგენლად. მაგრამ,

როდესაც ყალბი დოკუმენტის წარდგენისას პირი ეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას სათანადო ღირებულების გადახდით (მაგალითად, ყალბი რეცეპტის წარდგენით აფთიაქიდან გატანილ იქნა ნარკოტიკული საშუალება ღირებულების გადახდის შემდეგ), აქ ადგილი აქვს არა ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას, არამედ მათ უკანონო შეძენას (სსკ 260-ე მუხლი I ნაწ.). ამასთანავე, თუკი პირმა თვითონ დაამზადა ყალბი დოკუმენტი ან ყალბი რეცეპტი, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით: ნარკოტიკული დანაშაულის შესაბამისი მუხლითა და სსკ 267-ე მუხლით (ყალბი რეცეპტის დამზადების შემთხვევაში) ან 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის დამზადების შემთხვევაში).

აქვე ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ნარკოტიკულ საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და უკანონო შეძენა (სსკ 260-ე მუხლი I ნაწ.):

1. უკანონო შეძენის დროს ნარკოტიკული საშუალება (ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება) შეიძლება არც იმყოფებოდეს კონკურენტული იურიდიული თუ ფიზიკური პირის საკუთრებასა ან მფლობელობაში. ამ ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება უნდა მოხდეს იურიდიული თუ ფიზიკური პირის მფლობელობიდან ან საკუთრებიდან მისი ამოღების გზით. მაგალითად, როდესაც პირი ეუფლება ნარკოტიკულ ნივთიერებას ფარულად კონკრეტული პირის ბინიდან, ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას. მაგრამ როცა იგივე პირი ეუფლება ღია ცის ყვემ ბუნებრივად ამოზრდილ ნარკოტიკული საშუალების შემცველ მცენარეებს, ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენას.
2. როდესაც ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო ამოღება ხდება მისი მფლობელისაგან მისივე ნებართვითა და მასთან შეთანხმებით, საქმე გვაქვს უკანონო შეძენასთან. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება (სსკ 264-ე მუხლი) გვექნება, როცა პირი უსასყიდლოდ, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ახდენს ამ ნივთიერების ამოღებას.
3. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისას ეს ნივთიერებება არა მარტო იმყოფება ამა თუ იმ პირის მფლობელობასა ან საკუთრებაში, არამედ მასზე დახარჯული უნდა იყოს ადამიანის შრომა, ე.ი. მას უნდა გააჩნდეს მატერიალური ღირებულება, ხოლო ამ ნივთიერებათა უკანონო შეძენისას არა აქვს მნიშვნელობა, მათ გააჩნიათ თუ არა მატერიალური ღირებულება [1,6-12; 2,13-15; 3.]

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ადგილი აქვს მაშინ, როცა: 1) ეს ნივთიერება იმყოფება კონკრეტული პირის მფლობელობაში; 2) მას აქვს მატერიალური ღირებულება; 3) მისი მისაკუთრება ხდება უსასყიდლოდ და მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ; 4) პირს არა აქვს კანონიერი უფლებამოსილება დაეუფლოს ამ ნივთიერებას. ოთხივე ეს პირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად და ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ქმედების კვალიფიკაციას სსკ 264-ე მუხლი.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას და მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ დანაშაულის მცდელობით.

რაც შეეხება ხსენებულ ნივთიერებათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას მითვისებით ან ყაჩაღური ხერხით, იგი გათვალისწინებულია ამ მუხლის კვალიფიციურ (II და III ნაწილები) შემადგენლობაში.

სსკ 264-ე მუხლის შემადგენლობაში საერთოდ არაა გათვალისწინებული ნივთიერების გაფლანგვა. თუკი პირი, ვისაც კანონიერი გზით მინდობილი აქვს ეს ნივთიერება და უკანონოდ გაასხვისებს მას იმ პირზე, ვისაც არა აქვს მათი შექმნის უფლება, ადგილი ექნება კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების არა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას (264 მ.), არამედ მის უკანონო გასაღებას (სსკ 260-ე ან 261-ე მუხლები).

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გამოძალვას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირი წაუყენებს რა ამ ნივთიერების გადაცემის მოთხოვნას დაზარალებულს, ემუქრება მას, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიყენებს ძალადობას თვით დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გაანადგურებს ან დააზიანებს მათ ნივთს, გაახმაურებს სახელგამტებ ცნობას ან სხვა ისეთ ცნობას, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს დაზარალებულის უფლებები, ე.ი. გამოძალვისათვის გამოყენებული უნდა იყოს ის ხერხები, რაც გათვალისწინებულია სსკ 181-ე მუხლში - გამოძალვა [1,42-45. 2,80-88.4.5.6.]. ეს ქმედება დამთავრებულად ჩაითვლება მოთხოვნის წაყენების მომენტიდან, ე.ი. ფორმალური დანაშაულია. ამასთანავე, განსხვავებით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისაგან, აქ დაზარალებულად შეიძლება მოგვევლინონ არა მარტო ის პირები, ვის საკუთრებაშიც იმყოფება ეს ნივთიერება, არამედ ის პირებიც ვისაც სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებათ მათზე. მაგალითად, დამნაშავემ ონკოლოგიური საავადმყოფოს მედდას წაუყენა მოთხოვნა, რომ გარკვეულ ვადაში გადასცეს ნარკოტიკული საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა შვილის მკვლელობით. პირს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ასევე მის მიერ განხორციელებულ წარმოების პროცესთან დაკავშირებით. ამდენად, გამოძალვისას დაზარალებული შეიძლება იყოს პირი, ვინც კანონიერად ამზადებს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას (მაგალითად, ძლიერმოქმედ ნივთიერებას).

პირის ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, როდესაც მან გამოძალვით ვერ მიაღწია მიზანს და სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა. კერძოდ სსკ 264-ე მუხლის I ნაწილით და საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით იმ დანაშაულით, რაც მან ჩაიდინა. ამასთანავე, უნდა გაირკვეს, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა პირი მუქარის გზით ითხოვს არა უშუალოდ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების, არამედ იმ დოკუმენტების გადაცემას, რომელიც მას მომავალში მისცემს ამ ნივთიერების კანონიერი გზით მისაკუთრების უფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გამოძალვაში დაზარალებულად მოგვევლინოს ის პირი, ვისაც აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილება გასცეს დოკუმენტი, რაც საჭიროა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების კანონიერი შექმნისათვის. ერთი შეხედვით, აქ თითქოს პრობლემა არ უნდა იყოს, რადგან სსკ 181-ე მუხლის (გამოძალვის) დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია, რომ გამოძალვა არის არა მარტო სხვისი ნივთის, არამედ ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა. ე.ი. 181-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებულია, თუ რა შეიძლება იყოს ამ დანაშაულის საგანი - ესენია: სხვისი ნივთი, ქონებრივი უფლება და ქონებრივი სარგებლობა. რაც შეეხება სსკ 264-ე მუხლს, აქ დანაშაულის საგანია მხოლოდ

ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი ან პრეკურსორი, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება. ამ მუხლის დისპოზიციაში არაა მოხსენიებული დანაშაულის საგნად ამ ნივთიერებებზე უფლება. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ გამოძალვაში იგულისხმება არა აქ ჩამოთვლილ ნივთიერებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნა მუქარის გზით, არამედ უშუალოდ ამ ნივთიერების გადაცემის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში [7] გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული გამოძალვისას დაზარალებული პირი შეიძლება იყოს ისიც, ვინც ფლობს იმ დოკუმენტების გაცემის უფლებამოსილებას, რაც საჭიროა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შესაძენად. არადა უფრო უპრიანი იქნებოდა ამავე მუხლით იყოს გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული შემთხვევებისთვისაც. მიგვაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკაში დავის თავიდან ასაცილებლად სსკ 264-ე მუხლის პირველმა ნაწილმა უნდა განიცადოს სათანადო ცვლილება. კერძოდ, პირველი ნაწილის დისპოზიციის შემდეგ: “ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება” დაემატოს სიტყვები: “ანდა ამავე ნივთიერების ან მათზე უფლების გამოძალვა”.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი. პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ სათანადო კანონიერი ნებართვის გარეშე ამა თუ იმ ხერხით ისაკუთრებს 264-ე მუხლის I ნაწილში ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან თუნდაც ერთ-ერთს, ან სჩადის ამ ნივთიერების გამოძალვას. თუკი იგი ცდება დანაშაულის საგანში და ფიქრობს, რომ მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთი არის სხვა რომელიმე თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთი, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულის ჩადენის ხერხისა და განზრახვის მიმართულების შესაბამისად (მაგალითად, ქურდობის მცდელობით, ძარცვის მცდელობით).

პირიქით, თუ პირის განზრახვა მიმართული იყო 264-ე მუხლში ჩამოთვლილი ნივთიერების დაუფლებისაკენ, მაგრამ შეცდომით, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთი არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება (ან სხვა ნივთიერება), არამედ აღმოჩნდა თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი სამედიცინო პრეპარატი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 264-ე მუხლის მცდელობით. მაგრამ ეს არ ვრცელდება გამოძალვაზე, რადგან გამოძალვა დამთავრებულია მოთხოვნის წაყენების მომენტიდან და ნივთის ფაქტობრივად მისაკუთრების ფაქტს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის მოტივი და მიზანი ნორმის დისპოზიციაში არაა მითითებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დადგენას მნიშვნელობა აქვს არა ქმედების კვალიფიკაციისათვის, არამედ სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სხვ.

განსახილველი დანაშაულის მე-2 და მე-3 ნაწილებში ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებათაგან ამჯერად ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. ესენია: მე-2 ნაწილის “გ” პუნქტით გათვალისწინებული გარემოება - “სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით”, ამავე ნაწილის “ვ” პუნქტით გათვალისწინებული გარემოება - “ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით” და მე-3 ნაწილის “გ”

პუნქტით გათვალისწინებული გარემოება - “სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით”.

ამ დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეუძლია იმ პირს, ვისაც ნარკოტიკული საშუალება ან კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერება მინდობილი აქვს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ანდა უშუალოდ არა აქვს მინდობილი, მაგრამ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ხელი მიუწვდება მათზე. ასეთი პირები უმეტესად არიან მოხელეები, მასთან გათანაბრებული პირები და ასევე სხვა პირებიც, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან საპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა ნივთიერებასთან. ესენი არიან: სპეციალური აფთიაქის გამგეები, სასწრაფო დახმარების ექიმები, მიმღები განყოფილების მორიგე ექიმები (მოხელეები ან მასთან გათანაბრებული პირები), ასევე რიგითი ექიმები, მედდები, ფარმაცევტები, იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლები და გამცილებლები, რომელთაც გადააქვთ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, აგრეთვე ის პირები, რომელთა წარმოებითი საქმიანობაც დაკავშირებულია ამ ნივთიერებებთან. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შეუძლიათ იმ პირებსაც, ვისი ხელმძღვანელობითაც ხდება ამ ნივთიერებების შემოტანა საქართველოში, მათი განაწილება, მოხმარებაზე ან განადგურებაზე კონტროლის გაწევა. ესენი არიან ის მოხელეები, ვის ოპერატიულ გამგებლობაშიც იმყოფება ნარკოტიკული და კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ნივთიერებები (თუმცა ეს ნივთიერებები ფიზიკურად არ იმყოფება მათ მფლობელობაში). ასეთი მოხელეები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ქმნიან სხვადასხვა ფიქციურ დოკუმენტებს, ასევე ხშირად იყენებენ პირებს, ვინც იმყოფება მათ სამსახურებრივ დაქვემდებარებაში. ამ ქმედების ჩადენისას მოხელეები, რა თქმა უნდა, ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანაშაულის კვალიფიკაციისას არაა საჭირო სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლის (322-ე მუხლი). გამოყენება. ეს იმიტომ, რომ 322-ე მუხლი ჩვენ მიერ განსახილველ მუხლთან მიმართებაში არის ზოგადი ხასიათის ნორმის შემცველი, ე.ი. სსკ 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” პუნქტი მისი კონკრეტული შემთხვევაა, ხოლო ზოგადი და სპეციალური ნორმის კონკურენციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას, ამ შემთხვევაში - 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის “გ” პუნქტს.

ჩვენ მიერ განსახილველი შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ დანაშაულის ჩადენა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.

ამგვარ ძალადობას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლა და, აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი (სსკ 120-ე მუხლი), იგი შეიძლება გამოიხატოს ცემასა და სხვაგვარ ძალადობაში (სსკ 125-ე მუხლი), რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად სილის გაწნა სახეზე, ხელების ან ფეხების შეკვრა, ხელის გადაგრეხა, თმების მოქაჩვა და სხვ. ამგვარად, ძალადობაში არ იგულისხმება წამება, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (იხ. სსკ 126-ე მუხლი).

ძალადობა მაშინ ჩაითვლება ამ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად, როცა პირი მას იყენებს კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დასაუფლებლად, ანდა მაშინ, როცა პირმა ეს ნივთიერება, მართალია, ხელში ჩაიდო, მაგრამ ჯერ არ მისცემია განკარგვის შესაძლებლობა და მისი შენარჩუნების მიზნით იყენებს ამ ძალადობას.

“ასეთი ძალადობის მუქარაში” იგულისხმება პირის დაშინება, რომ გამოიყენებს მის მიმართ ზემოთ ჩამოთვლილ ძალადობათაგან თუნდაც ერთ-ერთს. თუ პირის დაშინებისათვის იყენებენ განუსაზღვრელ მუქარას (“შენთვის უმჯობესი იქნება”, “შენი საქმე ცუდად წავა”, “გირჩევნია არ გამიძალიანდე” და სხვ.), მაშინ 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ძალადობის მუქარის გამიჯვნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დაზარალებულის და დამნაშავეის რაოდენობა და მათი ფიზიკური მონაცემები, მათი სქესი, აგრეთვე მუქარის ჩადენის ადგილი (ირგვლივ ხალხმრავლობაა თუ არა), დრო (დღეა თუ ღამე), მუქარის გამოთქმის ფორმა და ტონი (დამნაშავეები ნიღბებში არიან და განრისხებულნი სასტიკი ტონით საუბრობენ) და სხვა გარემოებები.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რომელსაც განვიხილავთ, გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილის “გ” პუნქტით - სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით.

სიცოცხლისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი, ე.ი. არსებობს სიკვდილის დადგომის ალბათობა ამ ძალადობის შედეგად. ჯანმრთელობისათვის საშიშია ისეთი ძალადობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის ამა თუ იმ ხარისხის დაზიანება (117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე მუხლები). ყაჩაღობისაგან განსხვავებით ამ ნორმაში გათვალისწინებულმა ძალადობამ თუ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არ არის. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული სანქციის (თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე) შედარება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის გათვალისწინებულ ყველაზე მძიმე სანქციასთან (თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე). მაგრამ თუკი ამგვარმა ძალადობამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით [1,30-34. 2,64-67. 8].

როდესაც შეიარაღებული ბანდა ჩადის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან მუქარით კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მისაკუთრებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ბანდიტიზმით და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” პუნქტით საჭირო არ არის. ბანდა თავის თავში მოიცავს ორგანიზებული ჯგუფის არსებობასა და თავდასხმის გზით სხვადასხვა აგრესიულ (ძალმომრეობითი) დანაშაულების ჩადენას, მათ შორის სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას. რაც შეეხება სანქციას, ბანდიტიზმისათვის (სსკ 224-ე მუხლი) იგი უფრო მძიმეა, რადგან თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა ბანდიტიზმის მუხლით მეტია (თავისუფლების აღკვეთა ვადით ხუთიდან ოც წლამდე).

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარაში იგულისხმება მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, წამების მუქარა. მუქარა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერად ან იარაღის დემონსტრირებით, თუნდაც პირმა კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების დასაუფლებლად გამოიყენოს არა ნამდვილი იარაღი, არამედ მისი იმიტაცია და ამ გზით მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება.

თუ დასაშინებლად გამოყენებულია ნამდვილი ცაცხლსასროლი იარაღი, რომელსაც პირი ატარებს სათანადო ნებართვის გარეშე, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ვინაიდან ამ ნორმით გათვალისწინებული ძალადობის მუქარა (ისევე როგორც თვით ძალადობა) სავსებით შესაძლებელია იარაღის გამოყენების გარეშეც და, ამდენად, განსახილველი მუხლის

დისპოზიცია არ ითვალისწინებს, მის გამოყენებას როგორც ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს.

აქვე იზადება კითხვა: ამ ნორმაში გათვალისწინებული ძალადობის მუქარა, რაც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უნდა იყოს იმწუთიერი (ისე როგორც ყაჩაღობის დროს), თუ ამას არა აქვს მნიშვნელობა? განსახილველი მუხლის შემადგენლობა ისეა ფორმულირებული, რომ ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. ყაჩაღობის (179-ე მუხლი) დისპოზიციაში მითითებულია, რომ ეს დანაშაული გამოიხატება თავდასხმაში და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარა ამ თავდასხმის განხორციელების ერთ-ერთი საშუალებაა, ე.ი. აქედან ნათელია, რომ მუქარა ხორციელდება თავდასხმასთან ერთად, იგი იმწუთიერია. ჩვენს მიერ განსახილველი ნორმის დისპოზიციაში კი არ არსებობს მითითება არც თავდასხმაზე და არც იმწუთიერებაზე (იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე 264-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული გამოძალვა თავის შემადგენლობაში გულისხმობს ძალადობის მუქარას. გამოძალვისას მუქარა შეიძლება იყოს საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის ან შეიძლება არც იყოს საშიში. ამდენად, გაურკვეველია, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის ქმედება, რომელმაც სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით ჩაიდინა კონტროლს დაქვემდებარებული რომელიმე ნივთიერების გამოძალვა - სსკ 264 მუხლის I ნაწილით, თუ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” პუნქტით.

თუ მივიჩნევთ, რომ 364-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების “ვ” და “გ” პუნქტებში ნაგულისხმევია გამოძალვისათვის დამახასიათებელი ძალადობის მუქარაც, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ გამოძალვაში იგულისხმება გამოძალვის ძირითადი შემადგენლობის მხოლოდ ნაწილი. არადა, თუ ერთმანეთს შევადარებთ სსკ 181-ე მუხლის I ნაწილის (გამოძალვა) სანქციას 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციასთან, იმ უცილობელ დასკვნამდე მივალთ, რომ სსკ 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის “გ” პუნქტში არაა ნაგულისხმევი გამოძალვის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი მუქარა. კერძოდ, სსკ 181-ე მუხლის I ნაწილის (რომლის დისპოზიციაც მოიცავს ძალადობის გამოყენების მუქარას) სანქცია ითვალისწინებს ჯარიმას ან ტუსაღობას ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხ წლამდე. თითქმის ამგვარად სანქცია ითვალისწინებს სსკ 264-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შემადგენლობაც კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან ერთად ითვალისწინებს ამ ნივთიერებების გამოძალვას. რაც შეეხება 264 მუხლის მე-3 ნაწილის სანქციას, იგი გაცილებით მკაცრია (თავისუფლების აღკვეთა ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე). ამდენად, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია სსკ 264 მუხლის მე-3 ნაწილში იგულისხმებოდეს გამოძალვის ის შემთხვევა, როცა იგი განხორციელებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარით. ასევე არ იგულისხმება გამოძალვა 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ვ” პუნქტში. ეს საკითხი სადავო რომ არ გახდეს სასამართლო პრაქტიკაში, მიგვაჩნია, 264-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება. კერძოდ სიტყვები: “ანდა ასეთი ძალადობის მუქარით”, შეიცვალოს სიტყვებით: “ანდა ასეთი ძალადობის იმწუთიერი მუქარით”. ასეთი ცვლილების შეტანით ფაქტობრივად მოხდება ყაჩაღობისა და გამოძალვის შემადგენლობის გამიჯვნა. ეს კი აუცილებელია, რადგან ყაჩაღობის მომეტებული საშიშროება გამოძალვასთან შედარებით სწორედ მუქარის იმწუთიერობაში გამოიხატება.

ბოლოს მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევებოთ სსკ 264-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ სანქციას. ეს სანქცია (ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ორ

წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 4 წლამდე) მეტისმეტად ლმობიერია, რაც აშკარაა, თუკი მას შევადარებთ 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სანქციას (თავისუფლების აღკვეთა ვადით 10 წლამდე). გამოდის, რომ გაცილებით მკაცრად შეიძლება დაისაჯოს ის პირი, ვინც უკანონოდ შეიძენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას ვიდრე ის პირი, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს მას (ქურდობით, ძარცვით, თაღლითობით) ან ჩაიდენს ამ ნივთიერებათა გამოძალვას. არადა საზოგადოებისათვის მეტი საშიშროებით ხასიათდება სწორედ ეს უკანასკნელი ქმედება, რადგანაც იგი გამოირჩევა მეტი თავხედობით.

სს კოდექსის 264-ე მუხლის I ნაწილის სანქციის დაწესებისას, როგორც ჩანს, კანონმდებელმა ორიენტირად აიღო სსკ 177-181-ე მუხლების I ნაწილით გათვალისწინებული სანქციები, მაგრამ მან მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი და აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებლივი დაცვის ობიექტი ძირეულად განსხვავდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საგნისა და სისხლისსამართლებლივი დაცვის ობიექტისაგან.

მიგვაჩნია, რომ სს კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია მოითხოვს გამკაცრებას. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება იყოს ანალოგიური სს კოდექსის 237-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციისა (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ან გამოძალვა).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ლევკვიშვილი, გ.მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 1999.
2. ზ.წულაია, სისხლის სამართალი, კერძო სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, თბ., 2001.
3. Гаухман Л.Д., Максимов С.В., Преступления в сфере экономической деятельности. М., 1988, с. 102.
4. Сафонов В.Н. Организованное вымогательство. Уголовно-правовой и криминологический анализ, с. 137.
5. курс уголовного права, т.3, под ред. Борзенкова Г.Н. и Комисарова В.С. Особенная часть, М., 2002, с. 454-460;
6. Комментарий к уголовному кодексу Российской Федерации, отв. ред. проф. А.В. Наумов, М., 2000, с. 439-443.
7. Курс уголовного права, т.4, М., под ред. Борзенкова и Комисарова, 2002, с. 388.
8. ზ. წულაია, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 85.

მიღებულია: 10.10.2003